კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mof.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2012 წლის 19 იანვარი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
www.mof.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
64.00%
89.84%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
50.00%
45.13%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
35.83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
55.56%
30.17%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
31.82%
41.29%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
14.29%
46.25%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40.00%
56.50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
20.00%
20.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14.29%
50.00%
0.00%
50.00%
100.00%

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ მოიძება სამინისტროს ხელმძღვანელობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრს.
  აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონტაქტი“ არ მოიძიება მინისტრის ფაქსის ნომერი:

→ მინისტრი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე

დიმიტრი გვინდაძე დაიბადა 1973 წელს 23 დეკემბერს ქ. თბილისში. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

→ სამუშაო გამოცდილება

2011 წ. ივნისი-დღემდე	საქართველოს ფინანსთა მინისტრი - თბილისი, საქართველო
2005 წ. ივლისი - 2011 წ. ივნისი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მინისტრის მოადგილე (საგარეო დაფინანსება, სახელმწიფო ვალი, დონორებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის კოორდინაცია) - თბილისი, საქართველო
2005 წ. ივლისი - 2011 წ. ივნისი	შავი ზღვის ვაჭრობის და განვითარების ბანკი - ბანკის დირექტორთა საბჭოს სხდომებზე საქართველოს წარმომადგენელი - სალონიკი, საბერძნეთი

- არ მოიძიება მინისტრის მოადგილეების კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მოადგილეებს.
  აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონტაქტი“ არ მოიძიება მოადგილეების ფაქსის ნომრები:





2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და სამინისტროს ფაქსის ნომერი.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სამინისტროს ბიუროს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია, აქვე მითითებულიც იყოს, რომ სამინისტროს ბიუროს ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს სისტემაში შემავალი აფხაზეთისა

და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ფინანსთა სამინისტროების, სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების) სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები. ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება სამინისტროს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს მთავრობის დასახელება:

6. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსებოდა სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული მისი დეტალური საქმიანობის ისტორია.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციისა და უფლებამოსილებების აღწერა, აგრეთვე, არ არსებობს შესაბამისი (ქვე-)განყოფილება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის დეტალური აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არასრული სახით არის წარმოდგენილი სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები. კერძოდ, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სამინისტროს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კონტაქტი“ მოცემულია სამინისტროს მხოლოდ სამი სტრუქტურული ქვედანაყოფის ელექტრონული ფოსტის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:



9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოძიება დავების განხილვის საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;
- არ მოძიება დავების განხილვის საბჭოს სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი, საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სამინისტროს დაარსების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის ამსახველი ანგარიშები (მოიძიება მხოლოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების 2011 წლის ანგარიშები), პროგრამები და პროექტები *და ა.შ.*

ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ მოიძიება კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო ანგარიშგებისა და ფორმის დადგენა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების ანგარიშგების წარდგენის წესი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შესრულების პერიოდული (3 თვე, 6 თვე, 9 თვე, წლიური) ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის წესი, ვადები და ფორმები; საგადასახადო პოლიტიკის სფეროში შემუშავებული შესაბამისი პროგრამები, საგადასახადო ორგანოების მუშაობით მიღწეული და მოსალოდნელი შედეგების ანალიზი მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისა და შემდგომი სრულყოფის შესახებ სათანადო რეკომენდაციები.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ არ მოიძიება სამინისტროს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება მინისტრის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;

- არ მოიძიება მოადგილეების ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები:

→ სიახლეები

სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურში

თარიღი: 20-იანვარი-2012

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახური აცხადებს სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსს გამომძიებლისა და ინსპექტორ-გამომძიებლის პოზიციაზე

შემოსავლების სამსახურმა გამოცდილება ავღანელ კოლეგებს გაუზიარა

თარიღი: 17-იანვარი-2012

შემოსავლების სამსახურის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მიმდინარე რეფორმები და ცვლილებები ავღანეთის ვაჭრობისა და მრეწველობის სამინიტროს წარმომადგენლებმა ადგილზე შეისწავლეს

ფინანსთა მინისტრი Euromoney-ის კონფერენციაზე იმყოფება

თარიღი: 16-იანვარი-2012

მიმდინარე წლის 17-18 იანვარს ავსტრიაში, საერთაშორისო ბიზნეს კონფერენციების ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზატორის Euromoney-ის მიერ იმართება ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მე-17 ყოველწლიური ფორუმი.

12. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ანგარიშები“ სასურველია, აგრეთვე, განთავსდეს სამინისტროს დაარსების თარიღიდან მოყოლებული საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები; აღნიშნულ განყოფილებაში მოცემულია მხოლოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების 2011 წლის ანგარიშები.



13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს სამინისტრო. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის პირველი იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს კომპეტენციის სფეროში განხორციელებული პროექტების და პროგრამების ჩამონათვალი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/__proeqtebi_da_programebi0001.pdf).

13. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე წარმოდგენილ კანონმდებლობის საძიებო სისტემაში განთავსებული რამდენიმე სამართლებრივი აქტი მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან, მოცემული სისტემის დოკუმენტის ტიპში სათაურად „პრეზიდენტის განკარგულება“ წარმოდგენილია მინისტრის ბრძანებები:



სასურველია, არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს ფინანსთა მინისტრის შემდეგი სამართლებრივი აქტები: მინისტრის მიერ დამტკიცებული სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების დებულებები; მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებების განმსაზღვრელი შესაბამისი ბრძანება; სასურველია, აგრეთვე, მოიძიებოდეს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ მომზადებული

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები. საბიუჯეტო დეპარტამენტის მიერ მომზადებული საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების პროექტები; საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები.

სასურველია, აღნიშნულ (ქვე-)განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს კანონის „წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ პროექტი;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- საქართველოს კანონი “სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ”;
- საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2006 წლის 3 იანვრის N1 ბრძანებით დამტკიცებული “სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ” დებულება;
- საქართველოს კანონი “გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ”;
- ევროპული კონვენცია “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) გამოცემული იმ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებასა ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (არ არის მითითებული ინფორმაციის გაცემის რეკვიზიტები), რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/finansta_sajaroinfo.pdf

*აგრეთვე, **"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა"** საქართველოს პარლამენტიდან გამოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის წლიური ანგარიში, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*

http://www.opendata.ge/pdf_files/pinansta0001.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

18. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აუქციონები/ტენდერები“ წარმოდგენილია მხოლოდ ტენდერებისა და აუქციონების ჩატარების შესახებ საინფორმაციო ხასიათვის ცნობები/განცხადებები:



სასურველია, აღნიშნულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია);

*(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 19 ოქტომბრამდე სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და შესყიდვების სრულ ჩამონათვალს, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც*

შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ გმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/combined_tenders.pdf).

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სწავლება და კარიერა“ წარმოდგენილია ერთადერთი საკონკურსო განცხადება:



სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამინისტროს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი

უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა *და ა.შ.*

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის მეორე კვარტალში (აპრილი-მაისი-ივნისი) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის 2011 წლის მეორე კვარტალის შესრულების ბალანსი/ანგარიში), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (ბიუჯეტის ბალანსი არ არის სრული), რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:*
  http://www.opendata.ge/pdf_files/finansta_budget.pdf
  ასევე, მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაციას (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:
  http://www.opendata.ge/pdf_files/finansta_budget.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;
  *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა*

2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა არასრულყოფილად (პასუხში არ არის მოცემული ინფორმაცია პრემიების შესახებ), რაც შესაძლებელს ხდის სამინისტროს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/finansta_xelfasi.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
100.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
52.94%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
40.00%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57.89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
33.33%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
38.46%
0
0.5
1

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდის ნავიგაცია რთულად აღსაქმელია. მაგალითად შემდეგი ღილაკები, თუ მომხმარებელმა „მაუსი“ რომელიმე ღილაკზე არ მიიტანა, ძალიან გაუგებარია:



სასურველია ყოველ მათგანს ქონდეს მცირე აღწერა.

ასევე ნაკლებად პრაქტიკულია შემდეგი ტიპის ნავიგაცია:



როგორც სურათზე ჩანს, მთავარი მენიუს - ნავიგაციის თავში და ბოლოში ისრებია. ისრების მეშვეობით ხდება მთავარი მენიუს შეცვლა. მეთოდი ნამდვილად ინოვაციურია, თუმცა მას ნამდვილად აკლია პრაქტიკულობა. ამ მეთოდს სჯობს, ძველი ნავიგაციის მეთოდის გამოყენება რომელსაც ქვია ჩამოსაშლელი მენიუ (Drop Down Menu), რომელსაც მომხმარებელი უკვე მიჩვეულია;

ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია არ არის ხელმისაწვდომი:

სჯობს ისეთი ღილაკები ან ბმულები, რომლის ფუნქციონირება და გამართულობა ჯერ კიდევ მზადების პროცესშია საერთოდ არ გამოჩნდეს ვებ-გვერდზე;

- **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულენოვან ვერსიის ძიების მოდულში უნდა იწერებოდეს ავტომატურად ქართული ფონტით (უნიკოდით, Sylfaen-ით). ამ შემთხვევაში ეს პარამეტრი დარღვეულია. მაგ:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

მარტივად აღქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია ფონტის ზომა. მაგალითად შემდეგ გვერდზე გამოყენებულია ძალიან მცირე ფონტის ზომა:



რის გამოც ტექსტის კითხვა რთულია, მხედველობასთან პრობლემების მქონე ადამიანებთათვის კი შეუძლებელია. საჭიროა სტრუქტურის მორგებულად გადანაწილება, რათა მოხდეს უფრო დიდი ზომის ფონტით ტექსტების დაწერა; (რეკომენდებული ფონტის ზომა 12 პიქსელი);

ვებ-გვერდის ფოტო-გალერეა საკმაოდ ორიგინალურია და საინტერესო:



თუმცა სჯობს ერთი დაემატოს. როდესაც მომხმარებელი უყურებს დაბლითა, პატარა სურათებს და ირჩებს ერთ-ერთს ვებ-გვერდზე ერთი შეხედვით არაფერი არ იცვლება. მაგალითად უკვე არჩეული სურათი:



სინამდვილეში კი ფოტო-გალერიის მთავარი სურათი იცვლება, რომელიც ამ შემთხვევაში ეკრაინს მაღლა იმყოფება და მომხმარებელი ამას ვერ ამჩნევს. სასურველია რაიმე სურათის არჩევის შემდეგ ვებ-გვერდის „სქროლი“ (Scroll) ავტომატურად ავიდეს მაღლა, რათა ფოტო-გალერიის მთავარი სურათი გამოჩნდეს;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე ატვირთული სურათები დაპატარავებულია პროგრამული კოდით (HTML/CSS). მაგ:

სინამდვილეში ეს სურათები გაცილებით დიდია.
მაგ:

ამ მცირე ხარვეზის ან გაუთვალისწინებლობის გამო, მომხმარებელს გვიან ეტვირთება ვებ-გვერდი და ასევე უფრო ნელა. სჯობს გამოყენებული იქნას იმ ზომის სურათები, როგორი ზომისაც საჭიროა კონკრეტულ გვერდზე;

ვებ-გვერდზე გამოყენებულია მცირე ახსნა-განმარტებითი ტექსტები (toolTips)

მაგ:



იგი „მაუსის“ მიტანაზე მოქმედებს და ჩნდება. აღნიშნული მოდული (ფუნქცია) ბრაუზერ Internet Explorer-ის გარდა ყველგან მუშაობს.

Internet Explorer-ში არ მუშაობს, მაგ:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე არ იფილტრება გადაცემული ცვლადები.
მაგ:



უსაფრთხოების თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი ხარვეზი არ არის, თუმცა მცირე ხარვეზსს სჯობს საერთოდ არ არსებობდეს იგი.

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე საძიებო სისტემებისთვის ბევრი რამ არის გათვალისწინებული. თუმცა მონიტორინგის პროცესში მაინც აღმოჩნდა ხარვეზები. მაგალითად ვებ-გვერდში Friendly URL უმეტეს შემთხვევაში გვხვდება სწორი ფორმით, თუმცა არსებობ გამონაკლისებიც.
მაგ არასწორი ფორმატი:



სწორი ფორმატი:



სასურველია ყველა გვერდზე იყოს ერთიდაიგივე URL-ს ფორმატი;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდზე შესამჩნევია, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები. ამის გამო ვებ-გვერდს აკლია მნიშვნელოვანი ფუნქციები და გვერდები, მაგალითად ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია, ასევე ბეჭდვის ფუნქცია და სხვა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ხარვეზები, რაც მიმდინარე ვებ-გვერდზე დაფიქსირდა, ისეთი როგორიც არის გადაცემული ცვლადების (GET method) ფილტრაცია, ბრაუზერებში გვერდების იდენტური მუშაობა, სურათების ხელოვნურად შემცირება და სხვა. ეს პრობლემები ვებ-გვერდზე ჯერ კიდევ რჩება და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს, რათა იგი ერთი ნაბიჯით კიდევ მიუახლოვდეს იდეალურ ვებ-გვერდს.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
100.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
76.47%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
53.33%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57.89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
42.86%
9. ელექტრონული ჩართულობა
33.33%
10. ელექტრონული სერვისები
27.27%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
0.00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
53.85%
0
0.2
0.4
0.6
0.8
1

- **ნავიგაცია**

ჩვენის აზრით ნაკლებად პრაქტიკულია შემდეგი ტიპის ნავიგაცია:



როგორც სურათზე ჩანს, მთავარი მენიუს - ნავიგაციის ბლოკის თავში და ბოლოში განლაგებულია ნავიგაციის ისრები. ისრების მეშვეობით ხდება მთავარი მენიუს შეცვლა. მეთოდი ნამდვილად ინოვაციურია, თუმცა მას აკლია პრაქტიკულობა, ვინაიდან მომხმარებელი უკვე მიჩვეულია ჩამოსაშლელი მენიუს (Drop Down Menu) გამოყენებას.

ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია ჯერ-ჯერობით არ არის ხელმისაწვდომი:

სჯობს ისეთი ღილაკები ან ბმულები, რომლის ფუნქციონირება და გამართულობა ჯერ კიდევ მზადების პროცესშია საერთოდ არ გამოჩნდეს ვებ-გვერდზე;

- **ძიება**

ვებ-გვერდის ქართულენოვან ვერსიის საძიებო მოდულში შესაძლებელი უნდა იყოს ქართული ფონტის გამოყენება (უნიკოდით, Sylfaen-ით) ავტომატურ რეჟიმში. ამ შემთხვევაში ეს პარამეტრი დარღვეულია. მაგ:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

მარტივად აღქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია ფონტის ზომა. მაგალითად შემდეგ გვერდზე გამოყენებულია ძალიან მცირე ფონტის ზომა:



რის გამოც ტექსტის აღქმა გართულებულია, საჭიროა სტრუქტურის მორგებულად გადანაწილება, რათა მოხდეს ტექსტების დაწერა შედარებით დიდი ზომის ფონტით (რეკომენდებული ფონტის ზომა 12 პიქსელია);

ვებ-გვერდის ფოტო-გალერეა საკმაოდ ორიგინალური და საინტერესოა:



თუმცა გასათვალისწინებელია ერთი გარემოება. როდესაც მომხმარებელი აკვირდება და შემდგომ ირჩევს საპრეზენტაციო სურათებიდან ერთ-ერთს, ვებ-გვერდზე ერთი შეხედვით არაფერი არ იცვლება. მაგალითად უკვე არჩეული სურათი:



სინამდვილეში კი არჩევანის შედეგად იცვლება ფოტო-გალერიის მთავარი სურათი, რომელიც ამ შემთხვევაში ეკრანის მაღლა იმყოფება და მომხმარებელი ამას ვერ ამჩნევს. სასურველია სურათის არჩევის შემდგომ ვებ-გვერდის „სქროლი“ (Scroll) ავტომატურად ავიდეს მაღლა, რათა გამოჩნდეს ფოტო-გალერიის მთავარი სურათი;

- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდზე ატვირთული სურათები შემცირებულია პროგრამული კოდით (HTML/CSS). მაგ:

სინამდვილეში ეს სურათები გაცილებით დიდი მოცულობისაა. მაგ:

ამ მცირე ხარვეზის ან გაუთვალისწინებლობის გამო, მომხმარებელს გვიან ეტვირთება ვებ-გვერდი. სჯობს გამოყენებული იქნას იმ ზომის სურათები, როგორი ზომისაც საჭიროა კონკრეტულ გვერდზე;

ვებ-გვერდზე გამოყენებულია მცირე ახსნა-განმარტებითი ტექსტები (toolTips) მაგ:



იგი „მაუსის“ მიტანაზე ჩნდება. თუმცა აღნიშნული მოდული (ფუნქცია) ბრაუზერ Internet Explorer-ში არ მუშაობს, მაგ:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე არ იფილტრება გადაცემული ცვლადები. მაგ:

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე საძიებო სისტემებისთვის ბევრი რამ არის გათვალისწინებული. თუმცა მონიტორინგის პროცესში მაინც აღმოჩნდა ხარვეზები. მაგალითად ვებ-გვერდში Friendly URL უმეტეს შემთხვევაში გვხვდება სწორი ფორმით, თუმცა არსებობ გამონაკლისებიც.

მაგ არასწორი ფორმატი:

სწორი ფორმატი:



სასურველია ყველა გვერდზე იყოს ერთიდაიგივე URL-ს ფორმატი;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

შესამჩნევია, რომ ვებ-გვერდი ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია. ამის გამო ვებ-გვერდს აკლია მნიშვნელოვანი ფუნქციები და გვერდები, მაგალითად ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია და სხვა. თუმცა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ვებ-გვერდზე დაფიქსირებული ხარვეზებიც, ისეთი როგორიც არის გადაცემული ცვლადების (GET method) ფილტრაცია, ბრაუზერებში გვერდების იდენტური მუშაობა, სურათების ხელოვნურად შემცირება და სხვა. ეს პრობლემები ვებ-გვერდზე ჯერ კიდევ რჩება და აუცილებლად მათი გამოსწორებაც.